შ.პ.ს ,,პროჯექტ კომპანი“

ავგიის II ჩიხის მონაკვეთებზე გზის ბეტონის საფარის მოწყობა

საპროექტო დოკუმენტაცია

თბილისი 2021 წ.

შ.პ.ს ,,პროჯექტ კომპანი“

ავგიის II ჩიხის მონაკვეთებზე გზის ბეტონის საფარის მოწყობა

საპროექტო დოკუმენტაცია

შ.პ.ს ,,პროჯექტ კომპანი“-ს

დირექტორი გ. აბდელანი

მთავარი ინჟინერი გ. ჭყოიძე

თბილისი 2021 წ.

განმარტებითი ბარათი

1. შესავალი

შ.პ.ს „პროჯეკტ კომპანი“-ს და ა(ა)იპ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს შორის 5 იანვარს გაფორმებული #3 (NAT200019052) ხელშეკრულებისა და შესაბამისი ტექნიკური დავალების საფუძველზე, ავგიის II ჩიხის გზის ბეტონის საფარის მოწყობა

დავალების თანახმად შ.პ.ს. ,,პროჯეკტ კომპანი”-ს სპეციალისტების მიერ ადგილზე განხორციელდა საპროექტო ობიექტის საველე-საკვლევაძიებო სამუშაოები, მოხდა ტერიტორიის ტოპო გადაღება. პროექტირების პროცესში გათვალისწინებული იქნა დამკვეთის მოთხოვნები და სათანადო რეკომენდაციები.

საძიებო ობიექტი აგეგმილია Leica Total station-ით UTM WGS-84 კოორდინატთა სისტემაში, აგეგმვის შედეგად დაფიქსირდა რელიეფის მახასიათებელი წერტილების კოორდინატები და სიმაღლე ზღვის დონიდან, ადგილზე დამაგრდა რეპერები აბსოლიტური ნიშნულებით მაღალი სიზუსტის ორ სიხშირიანი GPS-ით, GEO CORS-ის სისტემასთან თავსებადობით. დეტალურად დაფიქსირდა გამოვლენილი დაზიანებები და დეფორმაციები, გაანალიზებულ იქნა მისი გამომწვევი მიზეზები.

მონაცემების კამერალურად დამუშავებისას გამოყენებულია საავტომობილო გზების ავტომატიზირებული პროექტირების სისტემა. საველე მასალებზე დაყრდნობით კამერალურად დამუშავების საფუძველზე განისაზღვრა სარეაბილიტაციო სამუშაოების სახეობები და მოცულობები, დამუშავდა გზის გეგმა, საგზაო სამოსის კონსტრუქციული ტიპები და სხვა.

2. საპროექტო გადაწყვეტის მოკლე აღწერა

საგზაო სამოსის ტექნიკური მახასიათებლები გათვალისწინებულია დამკვეთის მიერ გაცემული ტექნიკური დავალების საფუძველზე, აქედან გამომდინარე პროექტის მიხედვით მოსაწყობია 10 სმ სისქის ბეტონის საფარი.

3. სამუშაოთა ორგანიზაცია

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა შესრულდეს მოქმედი სტანდარტების, ნორმების, ინსტრუქციებისა და რეკომენდაციების სრული დაცვით.

სამუშაოების შესრულების ტექნოლოგიური სქემები ტიპიურია. სამუშაოები უნდა შესრულდეს ВСН 24-88-ის ,საავტომობილო გზების შეკეთებისა და შენახვის ტექნიკური წესები, СНиП 3.06.03-85-ის `საავტომობილო გზები~ და СНиП 3.06.04-91-ის `ხიდები და მილები~ შესაბამისად.

შრომის ნაყოფიერების გაზრდისა და მშენებლობის ხანგრძლივობის მაქსიმალურად შემცირების მიზნით მიღებულია სამუშაოების კომპლექსური მექანიზმებით და სპეციალიზირებული საწარმოო ბრიგადებით შესრულება, შრომის ორგანიზაციის თანამედროვე მეთოდებისა და ფორმების გამოყენებით.

სამუშაოების წარმოებისას გზაზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს ტრანსპორტის მოძრაობა, რის გამოც სამუშაოები უნდა ჩატარდეს ეტაპობრივად, ჯერ გზის ერთ ნახევარზე, მეორე ნახევარზე ტრანსპორტის მოძრაობის შენარჩუნებით, შემდეგ კი პირიქით.

სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების პერიოდში მოძრაობის ორგანიზაციისა და საგზაო სამუშაოების წარმოების ადგილების შემოფარგვლა შესრულდეს მოძრაობის ორგანიზაციისა და საგზაო სამუშაოების წარმოების ადგილების შემოფარგვლის ინსტრუქციის ВСН 37-84-ის შესაბამისად. სამუშაოების შემსრულებელმა ორგანიზაციამ უნდა შეადგინოს შესაბამისი სქემები და შეათანხმოს პოლიციის შესაბამის ადგილობრივ წარმომადგენლობასთან. ასევე აუცილებელია საგზაო სამუშაოების წარმოებისას სამუშაოთა წარმოების ზონაში მოხვედრილი კომუნიკაციების მფლობელთა წინასწარ გაფრთხილება.

სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო ყველა მასალა, ნახევარფაბრიკატი და კონსტრუქცია უნდა შეესაბამებოდეს საპროექტო მონაცემებს, სათანადო სახელმწიფო სტანდარტებს და აკმაყოფილებდეს მათ მოთხოვნებს.

შესრულებული სამუშაოების მთლიანი მოცულობისთვის მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე განსაზღვრულია ძირითადი სამშენებლო მასალების, მანქანა-მექანიზმებისა და სატრანსპორტო საშუალებების საჭირო რაოდენობები.

4. შრომის დაცვა და უსაფრთხოების ტექნიკა

გზაზე მომუშავენი უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (სპეც. ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სხვა) და ასევე უნდა სრულდებოდეს საერთო კოლექტიური დაცვის ღონისძიებები (სამუშაო ადგილის შემოფარგვლა, უსაფრთხოების ღონისძიებები). უნდა იყოს გზაზე მომუშავეთათვის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობები, თავშესაფარი წვიმის და მზის რადიაციისაგან.

აუცილებელია უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის და ხანძარსაწინააღმდეგო მოქმედი წესების, ნორმებისა და ინსტრუქციების დაცვა, მათი სწავლება ყველა მომუშავეთათვის. სამუშაოს დაწყების წინ ინსტრუქტაჟის ჩატარება, უსაფრთხოების წესების სწავლება, საგზაო მანქანებს უნდა ქონდეთ გამართული ხმოვანი შუქსიგნალიზაცია და საგზაო მანქანების სადგომი უნდა იყოს შემოფარგლული ავარიული გაჩერების წითელი სიგნალებით და ბარიერებითდღისით, - ხოლო ღამით წითელი ფერის სასიგნალო შუქფანრით. მშენებელი ორგანიზაცია პასუხისმგებელია და ვალდებულია სამუშაოები აწარმოოს უსაფრთხოების, შრომის, საწარმოო სანიტარიის წესების სრული დაცვით.

მშენებლობის ხანგრძლივობა 31 სამუშაო დღის ტოლია.

5. გარემოსდაცვითი ღონისძიებები

მოსამზადებელი სამუშაოებისა და უშუალოდ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას, მშენებელი ვალდებულია დაიცვას ქვემოთ ჩამოთვლილი და სხვა შესაბამისი სამშენებლო ნორმებითა და წესებით განსაზღვრული ღონისძიებები:

- სამუშაოების დამთავრების შემდეგ, სამუშაო ადგილი და სამშენებლო მოედანი უნდა გასუფდავდეს ყოველგვარი სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნაგვისაგან.
- აკრძალულია ნამუშევარი ნავთობპროდუქტების და სხვა სახის ნაგვის ჩაღვრა/ჩაყრა სანიაღვრე სისტემებში.
- აკრძალულია მანქანა-მექანიზმების რეცხვა სამშენებლო ობიექტზე. მათ გასარეცხად უნდა მოეწყოს სპეციალურად აღჭურვილი ადგილები.


დირექტორი **ბ. აბდელანი**

სამუშაოთა მოცულობის კრებსითი უწყისი

N	*სამუშაოს დასახელება*	*განზ*	*სულ რაოდენობა*	*შენიშვნა*
1	*თავი I. მოსამზადებელი სამუშაოები*			
1-1	ტრასის აღდგენა-დამაგრება	მ	*180.00*	
2	*თავი II. მიწის სამუშაოები*			
2-1	საფუძვლის მოყვანა პროფილზე	მ^2	*486,00*	
3	*თავი III საგზაო სამოსის მოწყობა*			
3-1-1	შემასწორებელი ფენის მოწყობა ფრ 0-40მმ ღორღით	მ^2	*486,00*	
3-1-2	ცემენტბეტონი B 25, სისქით 10 სმ	მ^2	*450.0*	

სამუშაოთა წარმოების კალენდარული გრაფიკი

N	*სამუშაოს დასახელება*	*განზ*	*სულ რაოდენობა*	თვე I			
				I კვირა	II კვირა	III კვირა	IV კვირა
1	*თავი I. მოსამზადებელი სამუშაოები*						
1-1	ტრასის აღდგენა-დამაგრება	მ	*180.00*				
2	*თავი II. მიწის სამუშაოები*						
2-1	საფუძვლის მოყვანა პროფილზე	მ^2	*486,00*				
3	*თავი III საგზაო სამოსის მოწყობა*						
3-1-1	შემასწორებელი ფენის მოწყობა ფრ 0-40მმ ღორღით	მ^2	*486,00*				
3-1-2	ცემენტბეტონი B 25, სისქით 10 სმ	მ^2	*450.0*				



	ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“			PROJECT COMPANY CIVIL ENGINEERING	შ.პ.ს "Project Company" ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკის ქ.12, ტელ: +995 597 23 91 98 ელ. ფოსტა: projectcompany2011@gmail.com			პროექტის დასახელება ავგიის II ჩიხის გზის ბეტონის საფარის მოწყობა		
					სახელი-გვარი	ხელმოწერა	თარიღი			
მიიღო	სახელი-გვარი	ხელმოწერა	თარიღი	მიიღო	ბ. აბდელანი		16.02.2021	მასშ.	ნახაზის ნომერი	ადგილმდებარეობის რუკა
				შეამოწმა	გ. ჭყოიძე		16.02.2021		1	
				დახაზა	ლ.ასიტაშვილი		16.02.2021			



არსებული ბეტონის საფარი

ღობე

საპროექტო ც/ბეტონის საფარი მთავარ გზაზე

დამკვეთი

ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“

შ.პ.ს "Project Company"
ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკის ქ.12.
ტელ: +995 597 23 91 98
ელ. ფოსტა: projectcompany2011@gmail.com


პროექტის დასახელება


ავგიის II ჩიხის გზის ბეტონის საფარის მოწყობა

	სახელი-გვარი	ხელმოწერა	თარიღი
მიიღო			

	სახელი-გვარი	ხელმოწერა	თარიღი
მიიღო	ბ. აბდელანი		16.02.2021
შეამოწმა	გ. ჭყოიძე		16.02.2021
დახაზა	ლ.ასიტაშვილი		16.02.2021

მასშ.	ნახაზის ნომერი	გეგმა
1:500	2	





საფარი - ბეტონი B25 F200 W6 სისქე10სმ

	დამკვეთი			PROJECT COMPANY CIVIL ENGINEERING	შ.პ.ს "Project Company" ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაის ქ.12, ტელ: +995 597 23 91 98 ელ. ფოსტა: projectcompany2011@gmail.com			პროექტის დასახელება ავგიის II ჩიხის გზის ბეტონის საფარის მოწყობა			
	ა(ა)იპ „საძალაძე ინჟინრასტრუქტურისა და კომუნიკაციების სამმართველო“				სახელი-გვარი	ხელმოწერა	თარიღი				
მიიღო	სახელი-გვარი	ხელმოწერა	თარიღი	მიიღო	ბ. აბდელანი		21.11.2020	მასშ.	ნახაზის ნომერი	საგზაო სამოსის კონსტრუქცია	
				შეამოწმა	გ. ჭყოიძე		21.11.2020		6		
				დახაზა	ლ.ასიტაშვილი		21.11.2020				